



ମାନ୍ୟମାନ୍ୟ  
ବିଦ୍ୟାଲୟରେ

# କୋଣାର୍କ ଜଗତଚାନ୍ଦ୍ରମ୍ବଳୀ ଦ୍ୱାରା

ପାଠ୍ୟମାଧ୍ୟ  
2010



# დაკარგული ალბასი

(ლიბრეტო სამ მოქმედებად, ათ სურათად)

## ԹԱՅԻՆԻՑ ԱՅԵԽԼԱՑՑՈՂՈ ԹՐԱՎՄԵԴՆՈ ՀԱՐԴՆՈ

Ծագութ աղմա՛լյենցիցելո	Տակարտացալոս մեջև
յլլյենց դեժուզալո	մեջյ դաշուտուս դյեժա
մարուած դեժուզալո	մեջյ դաշուտուս մամուճա,
ցշրանցակից	ծոխանքուս դյեժուզալո
ցուրացո կյունցուզալո	մեջյ դաշուտուս ցուլո
լուկարութո	ցանորտա շպորշացալյսո,
յաթու	միջնոնձարտաշեշցուս մեջյ
դյանուսույցո (Եշլո)	դաշուտուս ցամերացալո
րաթո	յրուստացո-յրուստացո
նոանու ծայրանո	լուկարութուս ցուլո
ցրոցու ծայրանո	անշլո լուկարութուսա
յառալոյուսո	ցայո լուկարութուսա
մյմաթուանց	յրուստացո, մեջյ դաշուտուս
յնուս մռացարո	նոյրմուս մյցարանո
ծյրու մռացարո	ծոխանքուս սարդալո
յըրուստացեծո, րանցայծո դա ևեցանո.	արևյն ոյալուռյլո

## პირველი მოქმედება

### სურათი I

(ქუთაისი. მეფის სასახლე. მეფე დავითის მამიდას – ბიზანტიის დედოფალს, მარიამს აქვს წვეულება, სადაც განზრახული აქვს დანიშნოს მეფე დავითის ბავშვობის მეგობარი, მასზედ უზომოდ შეყვარებული – დედისიმედი, ამგვარად მეფეს დააშოროს მისი ცოლი – რუსუდანი, რომელიც დავითს ძალდატანებით შერთეს მშობლებმა, სრულიად ყმაწვილს მეფობამდე.

დედისიმედი ერისთავთ-ერისთავის – ლიპარიტის ასულია. ლიპარიტი მტრულად არის განწყობილი მეფისადმი და სურს პირველობა. მარიამმა იცის რა კოველივე ეს, სურს ისარგებლოს დავითისა და დედისიმედის ურთიერთობით – შეართოს ისინი, რათა გაძლიერდეს მეფის ტახტი).

**ლიპარიტ ერისთავი – (დგება და წარმოთქვამს სადღეგრძელოს)** – ჩვენო მეირფაცო სტუმრებო, მაქვს პატივი, რომ წარმოვთქვა სადღეგრძელო, აქ კველანი შევიკრიბეთ მარიამ დედოფლის ჩამოსკლის გამო. ეგ სუფრა დმერთა გაამართ.

**მარიამ დედოფალი – (ზის სუფრასთან ქალებთან ერთად) – გმადლობთ,**

**ლიპარიტ ერისთავი – ბიზანტიის დედოფალო, ულამაზესო მარიამ, ოქცენტი მზრუნველი ხელი საქართველოს არ აკლდა, არ აკლია დღესაც, ობილ-ქვრივთა გამკითხავო, იყავ დღეგრძელი და ბედნიერი და ასეთი მშვენიერი.**

## 096809 0936293090.

ერისთავები – (მამაკაცთა სუფრიდანდგებიან სასმისებით  
ხელში) – იყავით დღეგრძელი და ბედნიერი და  
ასეთი მშვენიერი, საქართველოს არ აკლია ოქვენი  
მზრუნველი ხელი.

**მარიამ დედოფალი – (დამჯდარი მიმართავს) –**  
მადლობელი ვარ მე თწვენი, ჩემო ძვირფასნო,  
გამხიარულდით გეთაყვა, უხერხეულად ნუ გრძნობთ  
თავს. გთხოვთ მიირთვათ რამე და მეფეც  
გვეახლება მალე. ამ მიწისძვრამდაუკარგა  
მოსვენება, დღე და დამე ხალხთან არის, პატრონობს  
და ეხმარება (ისმის ძელის ხმა, ამცნეს მეფის  
მოსვლა). – აი მეფეც მობრძანდება.

ეზოს მოძღვარი – (შემოდის და ამცნობს) – მაგს პატივი  
მოგახსენოთ, გვეხლო ფხაზთა, ქართველთა, რანთა,  
კახთა და სომებთა მეფე დავითი! (ყველა ფეხზე  
დგება).

**მეცნ დავითი –** (შემოდის მხლებლებლებთან ერთად, მივამარიამთან, ემბორება შუბლზე, შემდეგ სტუმრებს მიმართავს) – გთხოვთ მომიტევოთ, ჩემთან სათანადო ყურადღება რომ არ გერგოთ, თქვენთან მინდოდა მე ყოფნა, სამწუხაროდ საქმეებმა შემაყოვნა. (ყველანი სხდებიან).

**ბიზანტიის სარდალი –** (მეფეს მიმართავს) – მეფევ ბატონო, ბიზანტიის კეისარი გილოცავთ მეფობას და გისურვებთ კარგად ყოფნას, ცუდ დროს გერგოთ თქვენ მეფობა, კეისარი იმედოვნებს – სიძნელეებს გადალახავთ, ის გთავაზობთ თანადგომას და გისურვებთ დეგრძელობას. (მივა მეფესთან, ეთაყვანება და გადასცემს კეისრისაგან მოწერილ

ეტრატს).

**მეფე დავითი – (დგება, ეტრატს გვერდზე მდგომ რისთავს გადასცემს და სარდალს მიმართავს) – ბიზანტიის დიდო სარდალო, კეისარს გადაეციო ჩემგან ულრმესი მადლობა, მწუხარის უამს დიდი ნუგეშია ჩემი ხალხისთვის მისი თანადგომა. (მეფე და სარდალი სხდებიან და ოწყებენ სუფრასთან საუბარს).**

**მარიამ დედოფალი – (მარიამის ნიშანზე მოახლეს შემოაქვს ნაჭრით გადაფარებული პატარა ყუთი, რომელსაც მარიამს მიართმევს, მარიამი ყუთს წინ დაიდგამს, გახსნის მას და ამოიღებს იქიდან აღმასების ასხმას და გვერდზე მჯდომ დედისიმედს მიმართავს) – ედისიმედო, მიიღე ჩემგან სახსოვრად ეს აღმასების ასხმა, ამიერიდან მანდამშვეროს შენი სახე ლამაზი, დაე უძვირფასესი ამშვენებდეს ულამაზეს! (და დედისიმედს გელზე ჩამოკიდებს აღმასების ასხმას).**

**ლიპარიტი – (ყოველივეს ხედავს, მან წინასწარ იცოდა მარიამისაგან მისი განზრახვა, ის მამაკაცების უფრას გამოყოფა და მის შვილ – რატისთან ერთად მარიამთან მივლენ. ის ეთაყვანება მარიამს ხელზე, შემდეგ კი რატი) – ყოვლისშემძლე მარიამ, საჩუქრისათვის მადლობა მომისხენებია, ჩემი ოჯახი თქვენით მადლიერია, თქვენი წყალობით მეფე ჩვენი სიძე უნდა გახდეს, ამით დიდიპატივი დამდეთ, ჩვენი ოჯახის მოამაგევ, თქვენი ძვირფასი სტუმრებით გთხოვთ ჩემს მამულში ჩამობრძანდეთ.**

**მარიამ დედოფალი – ერისთავთ-ერისთავო, ჩემო ძვირფასო ლიპარიტ, მალე ნიშნობა იქნება, დავითი რუსულანს**

## 096809 0936293090.

გაეკრება, რუსულანი მეცოდება, ამის გამო გაქირდვა  
მელოდება, მაგრამ რაღა გაეწყობა, დავითს  
დედოფალი არ უკვარს, რა ხანია იტანჯება, ახლა  
უნდა მაპატიო, სტუმრები მელოდება. უნდა მივაქციო  
ყურადღება.

**ლიპარიტი** – (თავის ადგილსკენ მიმავალი ქერდება და  
რატის მიმართავს) – წესისამებრ ნიშნობა  
მშობლებთან იქნება და ჩანაფიქრიც აგვისრულდება,  
მეფეს შევიპყრობთ და ტახტს დავიპყრობთ! მიზანი  
მამა-პაპათა ოცნებად აღარ დარჩება, ტახტი შვილო  
შენი იქნება!

**რატი –** მისი მოკვლის ნება როდის მომეცემა, მეფის ჩამოგდება  
როდის შედირსება!

**ლიპარიტი** – შვილო დაწყნარდი, ტახტი შენი იქნება!

რატი – როდის მეღირსება!

**ლიპარიტი** – ახლა გმართებს მოთმინება!

რატი - ოცნება ჩემი როდის ახდება?!

**ლიკარიტი** – დაწენარდი, ქმარა, ეჭვი არ აიღონ, სუფრასთან  
მიყიდვებ ჩქარა!

წზოს მოძღვარი – (ისმის ძელის ხმა, შემოღის და  
აუწყებს) – ძელსა პკრესა მწუხრისასა. (ყველანი  
ნელ-ნელა დგება და მიემართება  
გასასვლელისკენ)

**მეფე დავითი – (მეფე გვერდით გაიხმობს ვაზიორთა პირველებს**  
– გიორგი ჰელიოდევლს) – ჩემო გიორგი, რაც  
სარდალმა სუფრასთან გვიამბო ყივჩაღებზე, სწრაფ  
ცხენებზე რას იტყოდი? – კარგი მეომრები ჩანა,

## სისახლის ძალა

გავაგზავნოთ ხალხი მათთან, მოვიწვიოთ,  
დავასახლოთ და ცხენებიც შევიძინოთ, ამით ხა  
გავაძლიეროთ.

**გიორგი ჭყონდიდელი –** ჩემო მეფევ, მეც ეგ მინდოდა მეთქვა,  
დიდი საქმე გაკეთდება, გავაგზავნოთ მათთან ხალხი,  
გამოვიყენოთ ყიფაღინი!

**მარიამ დედოფალი –** (მეფე დავითს გასვლისას აჩერებს)  
– ჩემო დავით, დაიცადე, მე სათქმელი მაქვს შენდამი,  
მე თქვენს გამო ვიტანჯები, დედისიმედი მელოდება  
ბადში, წადი ანუგეშე ის საწყალი ქალი.

## ფარდა

### სურათი II

(მეფის სასახლის ბაღი. დედისიმედი მარტოა)

**დედისიმედი –** მარიამმა მისახსოვრა ალმასების ასხმა, მგონი  
ცოლად მე უნდივარ მეფე დავითს. მართლა თუ  
უყვარვარ იცი რად გატეხა, ცოლი მან რად მოიყვანა,  
ტკივილი რად მომაყენა. დავითს რომ რუსუდანი  
ჰყავს, ამას რაღა ეშველება, ოჯახი თუ დაინგრევა  
დიდი ცოდვა დამედება, ეს ცდუნება რომ დავძლიო  
დმერთო მომეც ამის ძალა, დავითს უნდა გავეცალო,  
აქედან წავიდე ჩქარა.

**მეფე დავითი –** (მიიჭრება დედისიმედთან, წელზე ხელს  
მოხვევს და მიიზიდავს, ქალი შეკროება და

## თმების ცეცხლაშვილი

---

მისგან თავს ძლივს თავისუფლებს) – როგორც  
იქნა დავრჩით ერთად, მარიამმა გამომგზავნა  
შენთან.

**დედისიმედი** – არა, შენ ცოლი გყავს უფლის ნებით. ჩვენ  
არა გვაქვს სათქმელი მეტი. აღარ მოსწონთ  
სტუმრობა აქ ჩემი, დამდალა უცხოთა მზერამ  
სახლში.

**მეფე დავითი** – შენ აღარა ხარ სტუმარი ჩემი.

**დედისიმედი** – რატომ გატეხე შენ ჩვენი ფიცი!

**მეფე დავითი** – შენ ჩემი სიმართლე არ იცი!

**დედისიმედი** – საქართველოს პყავს დედოფალი, რას იტყვის  
ხალხი.

**მეფე დავითი** – ძალითა შემრთეს მე ღუსუდანი, მშობლებს  
უნდოდა შტამომავალი!

**დედისიმედი** – (დავითი ისევ ცდილობს მიიზიდოს მისკენ,  
ქალი გაუძალიანდება და ამ დროს წყდება  
ალმასების ასხმა) – სიტყვები კმარა!

**მეფე დავითი** – მე ის არ მიყვარს, მე შენ მიყვარხარ!

**დედისიმედი** – გამიშვი, ალმასის ასხმა გამიწყდა.

**მეფე დავითი** – ნუთუ შენ ჩემთან ყოფნა არ გინდა!

**დედისიმედი** – მე შენ მიყვარხარ!

**მეფე დავითი** – არ ვიცი სულო მე როდის გნახავ, ნუ წახვალ.

**დედისიმედი** – შეგვამჩნევს ჩვენ თვალი უცხო, წავალ.

**მეფე დავითი** – ნუ წახვალ სულო, ნუ წახვალ!

**დედისიმედი** – აქედან უნდა წავიდე ჩქარა!

**მეფე დავითი** – ნუ წახვალ! (დედისიმედი გარბის). მე შენ  
მიყვარხარ! დედისიმედი როგორ დაგტანჯვ, ჩემი

## სიმპარულის ძალა

სიმართლის როგორ არ სჯერა, რუსუდანი რომ ცოლად შევირთე მაშინ დავუშვი დიდი შეცდომა. – ღმერთმა დალოცოს მამიდაჩემი, ღმერთმა, რომ სანუკვარ სიყვარულთან შემახვედრა. მე ვიტატანჯები, დედისიმედს კი რატომ არ სჯერა, ის ერთადერთი მე ისევ მიყვარს! დედისიმედი ჩემი დახდება, ჩემი ოცნება მალე ახდება!

**ფარდა.**

### სურათი III

(მეფის სასახლე. ელენე დედოფლის ოთახი)

**ელენე დედოფალი – (მარტოა ოთახში) –** მარიამმა მაინც მისი ჩანაფიქრი აღასრულდა, წუხელ დედისიმედს აღმასების ასხმა უსახსოვრა, ეს ამბავი რომ გაიგო რუსუდანმა, გადაწყვიტა მონასტერში აღსაკვეცად წასვლა. დავითის არ არის, დამიბარა – უფლისწული ჩამაბარა, მარიამმა ამირია მე ოჯახი, შვილი უნდა გავაფრთხილო, რომ მოღალატეა ლიპარიტის გვარი. დედისიმედი ნახეს გუშინ ბადში, მას ეალერსებოდა უცნობი თოროსანი.

**მეფე დავითი – (შემოდის ოთახში) –** რად მიხმე ასე გვიან ბატონო დედა, რამე ხომ არ მოხდა ნეტავ?

**ელენე დედოფალი – (სასოწარკვეთილი მიმართავს) –** სასახლეში ჭორაობენ, მეფეს პყავსო სიძვის ქალი, რუსუდანმა რომ გაიგო ეს ამბავი, უმაღლ გადაწყვიტა მონაზვნად აღკვეცა და მონასტერში წასვლა,

## 096809 0936293090.

უფლისწული ჩამაბარა, რესუდანტა დამიმოწმა, ამ საქმეში არ მიგიძლვის ბრალი, მარიამმა ამირია მეოჯახი!

**მევე დავითი – (განცვიფრებულია) – ვინ არისო სიძვის  
ქალი? ვის გულისხმობენ ნეტავი?**

**ელენე დედოფალი – (გამომწვევად უპასუხებს) –  
ლიპარიტ ერისთავის ასულს, ის გვარი მტერია  
ჩვენი, გადახედე წარსულს!**

**მეცნ დავითი – (აუდელებელად მიმართავს) – მაპატიუ  
ჩემო დედა, აგისხნათ – ის ქალი საცოლეა ჩემი,  
ნიშნობა ჯერ არ მომხდარა, მხოლოდ აღმასების  
ასხმა უსახსოვრა მარიამმა.**

ელენე დედოფალი – (აღელვებული მიმართავს) – ის  
მტერია ჩვენი, კმარა, საღამო ხანს ნახეს ბაღში,  
შენი საცოლე ქალი უცნობ თოროსანთან ერთად.  
(კარადიღან ამოიღებს ალმასის ქვას და დავითს  
გადასცემს და განაგრძობს) – ეს ალმასი ხომ  
იცანი, ალერსის დროს დაეკარგა იმ ქალს, ბერმა  
ნახა, მომიტანა, ახლა კი გთხოვ ოჯახიდან გააძევო  
ერისთავის ქალი, ჩქარა!

მეცნ დავითი – (მშვიდათ მიმართავს) – ის უცნობი  
თოროსანი მე ვიყავი, მე გავწყვიტე ალმასების  
ასხმა.

**ელენი დედოფალი –** (მოულოდნელობისაგან შეცბება და  
იქვე სელზე დაეშვება) – ეს რა მესმის ჩემო შვილო,  
მაპატიე ჩემო დავით, დედის გული მე ცუდს  
მიგრძნობს, გაფრთხილდი შვილო, მოღალატეა ის  
გვარი (მეფე გადის).

## სიმპარულის ძალა

**გიორგი ჭყონდიდელი – (შემოდის ოთახში) –** მაპატიე დედოფალო, მითხვეს მეფე თქვენთან არის, მისთვის გადაუდებელი სასწრაფო მე მაქვს ამბავი.

**ელენე დედოფალი –** შემოდი ჭყონდიდელი, შენთან მეც მაქვს საუბარი. დავითი ჩემთან იყო, მამცნო ცუდი ამბავი, ლიკარიტის ყვარებია ქალი, ცოლად ნდომებია, დავითი შენ დაგიჯერებს, შვილი ჩემი შენი აღზრდილი არის, დავითს შტააგონე არ დალუპოს მისი თავი! ხომ იცი, რომ მოღალატეა მათი გვარი!

**გიორგი ჭყონდიდელი –** დედოფალო მაპატიე, მე ვიცოდი ეს ამბავი, ზლიერ უყვარს მას ის ქალი. გამოსავალი ერთია, უნდა შეერთოდ ყივჩაღთა მთავრის ქალი.

**ელენე დედოფალი – (გაოგნებული შეპყვირებს) –** როგორ, დავითს შეერთოდ ყივჩაღი ქალი!

**გიორგი ჭყონდიდელი –** გადმოცემით ვიცი, ურიგო არ ყოფილა, ლამაზია ძლიერ ის ქალი, მეტად ნასწავლი, ზრდილი და გულთბილი არის, არ უნდა უჩანდეს ამ ქორწინებას ცუდი პირი. მომიტევე დედოფალო სხვა გზა არ არის, მტერი კარზეა მომდგარი – მეფემ უნდა გააკეთოს ბრძნელი არჩევანი.

**ფარდა**

## მეორე მოქმედება

### სურათი IV

(ნაჭარმაგევი მეფის სასახლე. ლიპარიტ ერისთავთ – ერისთავისათვის ოჯახი იმყოფება სტუმრად მეფესთან რატის გარეშე. ოთახში ტახტზე გადაფენილ საქორწილო კაბას დასცეკრის გახარებული კატაი).

**კატაი** – რა ბედნიერი დედა ვარ, ჩემი გოგონა თხოვდება. ოცნება უსრულდება, დავითის ცოლი გახდება. ეს კაბა გაალამაზებს ჩემს გოგოს, დედოფლად აქცევს, ვინილავ ჩემს დედისიმედს გახარებულს და ბედნიერს. – ახლა კი რატი მადარდებს, ნეტავ სად არი აქამდე, ფიქრი მტანჯავს და მაწუხებს, ღმერთო მაშორე ცუდ აზრებს, ეტავ სად არი აქამდე.

**დედისიმედი** – (შემოდის ოთახში დედისიმედი, აინახავს საქორწილო კაბას და გახარებული დედას მიმართავს) – მოიტანეს ჩემი კაბა?

**კატაი** – როგორ მოგწონს შენი საქორწილო კაბა, აბა ნახე და მოირგე.

**დედისიმედი** – კარგი ბატონო. (აიღებს კაბას და მიდის, მაგრამ მისულს ლიპარიტი შეეჩება და დედისიმედი განზე გადგება)

**ლიპარიტი** – (შემოსული ლიპარიტი ოთახში მუზარადს და ხმალს იღებს და ტანზე ისხამს და კატაის აღელვებული მიმართავს) – დილით ბარათი მივიღე რატისაგან, საჩქაროდ გვიხმობს მასთან, ჩვენმა მოკავშირემ ჯარი გამოგზავნა მეფეს შევებრ-

## სიმპარულის ძალა

ძოლოთ და ტახტი ხელთ ვიგდოთ უნდა!

**კატაი** – (გაოგნებული ლიპარიტს სეჭყვირებს) – ლიპარიტ რას ამბობ, მეფე სასიძოა ჩვენი.

**დედისიმედი** – დამინგრიეს ოცნებები.

**ლიპარიტი** – დათვლილია მეფის დღენი.

**დედიიმედი** – დავითს ვერ დავენახვები, ახლა რა ვქნა.

**კატაი** – შეაჩერე რატი, ჩქარა, ლიპარიტ ნუ იზამ დალატს.

**ლიპარიტი** – ეს გომბიო მირჩევნია, ურჯულოს მივცე ხასად!

**კატაი** – არ წამოვალ, არა!

**დედიიმედი** – მე უნდა გადავიკარგო აქედან ჩქარა.

**ლიპარიტი** – შეილთან შენ თუ არ წამოხვალ, მაშ მე წავალ!

(აპირებს ოთახიდან გასვლას, მას კატაი გადაედობება, მაგრამ ის ხელს ჰკრავს და გზიდან ჩამოიცილებს, კატაი ეცემა იატაკზე, ლიპარიტი გადის).

**დედისიმედი** – რად გამწირა ასე ბედმა, – უნდა გადავიკარგო აქედან!

**კატაი** – ნუ დამტოვებ მარტო შვილო, არ წახვიდე არა . . .

**დედისიმედი** – უნდა წავიდე აქედან ჩქარა. (იატაკზე კაბას აგდებს და გარბის)

**კატაი** – არ დამტოვო, არა შვილო, არა! რა ვქნა, დავითი არ გვაპატიებს დალატს. არა, არ მგონია, რომ რატის დატოვებს ცოცხალს, აწი მას ვერ ვნახავ ცოცხალს. (ძლივს წამოდგება, მაგიდას დაეყრდნობა და მოთქვამს) – ის რაც ახლა გავიგე, არ მჯერა, მე ვერ ვხვდები რად გამწირა დმერომა, ბედმა, აღარ ვიცი რა ვიღონო, რა ვქნა, არ მგონია, რომ შვილს

## თმების ცეცხლაშვილი

---

ცოცხალს ვნახავ, რა ვქნა. რა ვიღონო, გამიმწარა  
ქმარმა დღენი, შვილს არგუნა მწარე ხვედრი, ერთად  
ერთი ვაჟი ჩემი, გახდა საქართველოს მტერი,  
დედისიმედს დაუნგრიეს ბედი, დალატს აღარ  
გვაპატიებს, ღმერთი. – აღარ ვიცი რა ვიღონო, რა  
ვქნა. არ მგონია, რომ შვილს ცოცხალს ვნახავ, რა  
ვქნა, რა ვიღონო რა ვქნა, მე ვერ ვხვდები რად  
გამწირა ბედმა, რად მარგუნა მწარე ხვედრი  
ღმერთმა, რად გამწირა ღმერთმა.

### ფარდა

#### სურათი V

#### (მეფის სასახლე. დარბაზიერთა საბჭო)

**მემატიანე** – (დგება, ოდნავ წინ გადის და მეფეს  
მოახსენებს) – მეფევ ბატონო, სელჯუკი  
გაერთიანდნენ, ახლოს არიან საზღვრებთან, დიდი  
ძალებით ბრძოლას აპირებენ ჩვენთან.

**ჭყონდიდელი** – (წამოდგება და ახლა ის მოახსენებს  
მეფეს) – ჩვენო პატრონო, ყივჩაღთა მთავარი  
პასუხს მოელის თქვენთაგან, დამოყვრების გარეშე  
ლაშქარს არ იძლევა.

**ეპისკოპოსი** – (წამოიჭრება და აღელვებული მათ  
მიმართავს) გონს – მოდით ხალხნო, გონს, ტახტი  
წაგვებილწება, ამას ეკლესია წინ აღუდგება.

**ჭყონდიდელი** – (ვეხზე დგება და მიმართავს) –

## სიმპარულის ძალა

სარწმუნოება დაცული იქნება, დღეს კი სამშობლოს ასე სჭირდება!

**პისკოპოსი** – კეისარმა ყივჩაღნი ბევრჯერ დაიქირავა, სანაცვლოდ კი ყივჩაღნი ბიზანტიას ძარცვავდა!

**ჭყონდიდელი** – მე გეთანხმებით, მაგრამ ისინი მზად არიან შეიცვალონ რჯული. მტრად არ გადაგევიდოთ ყივჩაღნი მოყვრად მოსულნი. (**შემდეგ მეფეს მიმართავს**) – განსაცდელშია მეფეო მამული ჩვენი, ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავმა ფარული წერილი მიიღო შვილისაგან, მტრის ბანაკში ფარულად იწვევდა მასთან. მოღალატე შევიპყარით, ებრძოლებაც არ დასცალდა. კვლავ აღსდგა ჩვენი დაუძინებელი მტერი, სურს რომ გათელოს ქართველი ერი, განსაცდელშია ქვეყანა ჩვენი, მძიმე დაგვიდგა მეფეო დღენი (თავის ადგილზე ჯდება).

**მეფე დავითი** – (**წამოდგება და მიმართავს დარბაზს**) – მოღალატე მიესაჯოს საქართველოდან გადასახლება და ჩამოერთვას ყველა წოდება! ყივჩაღო აცნობეთ დასტური ჩემი! აღსრულდეს ნება თქვენი! ვალია გადავარჩინოთ სამშობლო ჩვენი! საქართველოსათვის დამითმია გული დასიცოცხლე ჩემი! – ეს რა შავი დღე გათენდა, მტერი მომდგარა ჩვენს საზღვარს, გადათელვით ემუქრება ჩემს ხალხსა და ჩემს მიწა-წყალს! – სულო, ჩემო სიყვარულო, ფიცი გავტეხო მე უნდა, სამშობლოა გასაჭირდი, აღარამაქვს მე გზა უკან! – მეფე ვარ მე ჩემი ხალხის, ჩემი ვალი აქ დიდია, თავი მამულს ვანაცვალო, დმერთოან ფიცი მიმიცია!

## სურათი VI

(დილეგი. დილეგში ბორკილებდადებული  
ლიპარიტია)

**მეფე დავითი –** (შედის დილეგში და ლიპარიტს  
მიმართავს ზიზღით) – ჯერ არ შეგაშრა სახეს  
ტალახი, როგორ გაბედე კიდევ დალატი,  
დედისიმედი გამიქციე, ჩვენი სიყვარული დაანგრივ.

**ლიპარიტი –** (გაცოფებული დაბმული ხელების ქნევით  
მიმართავს) – დავით, შენ სატანა ხარ – ვერ  
გიტან და შვილი ჩემი არ გემონება!

**მეფე დავითი –** მტრის მხარეზე იბრძოდა შენი შვილი რატი!

**ლიპარიტი –** შურს იძიებს ჩემი რატი!

**მეფე დავითი –** ის ბრძოლაში მე მოვგალი!

**ლიპარიტი –** ვაი შვილო, ეს არ იქნება მართალი!

**მეფე დავითი –** (დილეგის შესასვლელთან მდგომ  
რაინდებს მიუბრუნდება და უბრძანებს) –  
გაიყვანეთ, დაიტიროს მისი შვილი მკვდარი!

**ლიპარიტი –** (გაყვირის) – რატი არ იქნება მკვდარი.

**მეფე დავითი –** ხოლო შემდეგ ქართულ მიწას მოაშორეთ,  
ნუდარ ნახავს ჩემი თვალნი!

**ლიპარიტი –** ეს არ იქნება მართალი, არა შვილო არა...  
(მეფე გადის, ლიპარიტი დაეცემა მუხლებზე  
თავზარდაცემული) – ეს არ იქნება მართალი!  
არა შვილო ვაი. – ვაიმე შვილო, დმერთო ჩემო,  
რას მოვესწარი, როგორ გაგწირე და გაგიმეტე,  
როგორ მოგალი. რა ხდება ჩემს თავს, რა მემართება,

---

## სიმპარულის ძალა

რატი მომიკლეს, რაღა მეშველება, როგორ გაგწირე,  
როგორ გაგიმეტე - ოჯახი დამენერა,ვაი! რას  
მოვესწარი, რაღად მინდა თავი ცოცხალი,ღალატის  
ხვედრი როგორი ყოფილა... და შედეგ საც  
ვიმკიმწარეს. შვილი მომიკლეს - ვაი შვილო -  
როგორგაგწირე, შვილო რას მოვესწარი, როგორ  
გაგიმეტე, რატომ მოგკალი! აზრი დაკარგა ჩემმა  
ცხოვრებამ. არ მსურს სიცოცხლე! ნუდარ  
მაწვალებთ, მეც მომკალიოთ - შვილთან მამყოფეთ!

### ფარდა

### სურათი VII

**(თბილისი. ხალხით საგსე მოედანი მოედის  
მეფის გამოჩენას)**

**გუნდი** – მოდის მეფე – ხალხთა დიდი მწყალობელი, სწავლული  
და ბრძენი, ჩვენი აღმაშენებელი, დღეგრძელ იყოს  
მეფე უშიშარი ჩვენი. (**შემოდის მეფე დავითი  
დედოფალთან** და მხლებთან ერთად, მათ შორის  
არიან ფრანკი რაინდები თავიანთ ტრადიციულ  
სამოსით, ისინი იბრძოდნენ დიდგორის ომში)

**გუნდი** – დღეგრძელი იყავ დავით – უშიშარო ჩვენო,  
საქართველოს ბეჭი – შენ განგებით გერგო.  
საქართველოს მტერი, დაგემლიოს მუდამ.

**მეფე დავითი** – (მიმართავს ხალხს) – დიდგორის ბრძოლა,

## თენის ცეცხლაშვილი

თბილისის დახსნა სისხლიმდგრელი ბრძოლის ფასად  
დაგვიჯდა და საქართველომ კვლაბ გაიხარა. – აა! –  
დაგვიდგა უმი ქართველებს, თბილისი ისევ ჩვენი  
გაგიხდა, ამ უმს ველოდი მოელი სიცოცხლეს მადლობა  
ღმერთს, რომ ნატერა ამიხდა. (მერე მიუბრუნდება  
შორიახლო მჯდომ მემატიანებ) – დაწერე ჩემო  
მემტიანევ – იუდეველებს და  
მუსულმანებშევუნარჩუნებოთწეს-ჩევულებას  
სარწმუნოებას და სალოცავებს, ქართველსა კაცსა  
ომი არ სურს, სიმშვიდით უნდა ქვეწად ცხოვრება!  
ყველამ იცოდეს მოელ სამყაროში, ქართველ კაცს  
ყველა ერი რომ უკვარს! – ერთად ყოველთვის ვიქებით  
მძლავრნი, როგორც დღესა ვართ გამარჯვებულნი, მხარი  
მხარს მივცეთ. როგორც დიდგორში და გავახაროთ  
ჩვენი მამული. (მევე ოდნავ მიუბრუნდება მასთან  
მდგომ ფრანკ რაინდებს) – ჩვენს გვერდით მედგრად  
იბრძოდნენ ფრანკნი და სხვა მებრძოლნი უცხო  
ქავების, ბევრმა მათგანმა სისხლი დაღვარა ჩვენს  
საქართველოს დღეს რომ ეხარა! – დიდგორის ველზე  
დაცემულ გმირებს სამარადისო სსოფნა, დიდება!  
ქართველი ხალხი არ დაივიწყებს მამულისათვის მათ  
თავდადებას! – ამიერიდან მოყოლებული სამეფო ტახტი  
თბილისი იქნება!

**გუნდი** – დიდება ჩვენს ერს, დიდება მეფეს – ჩვენს საქართველოს დიდება! (მეფე გადის მხებლებთან ერთად. იმართება ცეკვა)

ଓଡ଼ିଆ

## მესამე მოქმედება

### სურათი VIII

(თბილისი, მეფის სასახლე. მეფის ოთახი)

**მეფე დავითი – (მეფე მარტოა, ზის სელზე და ხელში დაკავებულ ალმასს შესცეკის) – დედისიმედო, ჩემო იმედო, შენს გამო გულში დღემდე მწუხრია – სად დამეკარგე უშენობა მკლავს, დრო გავიდა და მაინც მარტო ვარ, ყოველ ბრძოლაში თვალწინ მედექი, არ მშორდებოდა მე შენი სახე, – სულ დავატარებ გულთან ამ ალმასს, რომლის ხილვა მე მათბობს ახლაც, სად არ გეძებე, მაგრამ ამაოდ, უშენოდ სულო მწუხრია ჩემს თავს, ნეტავი იმ დროს – ნეტავი იმ ჟამს, რომელიც დამრჩა ტკბილ მოგონებად, დედისიმედო, ჩემო იმედო, შენს გამო დღემდე მწუხრია ჩემს თავს, მე ვეფერები ამ შენს ცივ ალმასს, რომელიც მათბობს, სულო, მე ახლაც.**

**გურანდუხტი – (შემოდის დედოფალი, ყოველივეს ხედავს და მცირე პაუზის შემდეგ მეფეს მოწიწებით მიმართავს) – რად მოიწყინე ჩემო ბატონო, დღეს ზეიმია ჩვენი ხალხისა – შენი მახვილის სიძლიერისა.**

**მეფე დავითი – (დავითი გონს მოეგება – გამოფხიზდება ფიქრებიდან, ადგება მივა ცოლთან, შუბლზე ეამბორება და მიმართავს) – გურანდუხტ, ალბათ გადავიღალე, ცოტა ხნით მინდა მთებში წასვლა, ჩემს მეგობრებთან ერთად –**

**გურანდუხტი – არ წახვიდე გევედრები, მინდა ვიყო შენთან ერთად.**

## 096809 0936293090.

მეცნიერება დავითი – მაპატიე, უნდა წავიდე ახლა (გადის).

გურანდუხტი – (რჩება მარტო) არ დაიცადა – მაინც წავიდა  
დავითი ჩემგან, არ დაივიწყა დედისიმედი, რამდენი  
ხანი გავიდა... გამიგია დედისიმედს უსახსოვრა  
ალმასების ასხმა. – იმ ალმასის ერთი თვალი  
ნუთუ ნიშნად სიყვარულისა უსახსოვრა იმ ქალმა.  
ჩემი ქმარი მასზე ფიქრობს სიზმარშიაც კი მას  
ეძახის, დმერთო ჩემო დავიტანჯვა, არ ვუყვარვარ მე  
ჩემს დავითს, ცოლად მიტომ მომიყვანა  
სამშობლოსთვის რომ ეშველა. დავითს გული ვერ  
გაუთბო ჩემმა დიდმა სიყვარულმა, მე ის მიყვარს,  
მე მას ვეტრიფი, დმერთო ჩემო მომეც ძალა, არ  
ვუყვარვარ მე ჩემს დავითს არა, არა... .

ଓଡ଼ିଆ

სურათი IX

(სოფლის მონასტერი. გარეთ ავდარია.  
იღუმენიას ოთახი)

მონაზონი – (ოთახში მაგიდასთან მჯდომ იღუმენიას მიმართავს) – დაო დარია, მონადირენი თავშესაფარს ითხოვდენ, სანამ თაგძესმაა და აყდარია.

**დედისიმედი** – (თავს აწევს წიგნიდან, რომელსაც  
კითხულობდა) – მიეცით თავშესაფარი. რაკიდა  
ითხოვვენ, დააპურეთ, გაათბეთ და ერთმა მათგანმა  
მექახლოს. (მონაზონი გადის და მალე შემოდის  
ნიანია)

## სიყვარულის ძალა

**ნიანია** – დედისიმედო, ნუთუ შენა ხარ? თვალს არ გუჯერებ! არა ნუთუ შენა ხარ?

**დედისიმედი** – (წამოიჭრება სელიდან) – დიახ – მე გახლავარ!

**ნიანია** – სად არ გეძებეთ სად არა...

**დედისიმედი** – რამდენი წელი გავიდა.

**ნიანია** – ვერ მივაგენით შენს კვალს!

**დედისიმედი** – სასახლიდან გლეხის ქალმა გამაპარა – მამის დალატის გამო დავიმალე, თავი მონასტერს შევაფარე, რათა მელოცა მეფისათვის.

**ნიანია** – შენს განშორებას ძლიერ განიცდის მეფე – ალმასის ქვას დაატარებს ახლაც, ხშირად ვხედავ მას სევდიანს.

**დედისიმედი** – ნუთუ ვახსოვარ ჩემს დავითს.

**ნიანია** – უფალს შენს ნახვას ეველრებოდა, ალმასის ქვას დაატარებს, რომელიც შენს თავს აგონებს...

**დედისიმედი** – (კარადიდან გამოიღებს პატარა ოქროს ჯვარს, ყელსაკიდ ხატს) – ოქროს ჯვარი სახსოვრად ჩემგან გქონდეს, ეს ყელსაკიდი ხატი დავითს უსახსოვრე – ერთი თხოვნა შემისრულდა, ნურვის ეტყვი რომ აქ მნახე.

**ნიანია** – (იღებს საჩუქრებს, მან არ გაუმხილა, მეფე დავითის იქ ყოფნა) – გმაღლობთ დაო, ჩემს ხალხთან წავალ ახლა (თავს დაუხრის და გადის).

**დედისიმედი** – (მარტო რჩება) – ღმერთო ეს რა მემართება, რატომმიბერს ასე გული, ჩემმა სიყრმის მეგობარმა

## თმების ცეცხლაშვილი

---

გამახსენა მეწარსული. ისევ ვახსოვარ მე დავითს, როგორ ძლიერვევარებივარ ჩემს საყვარელ რაინდს. მამისა და ძმისდალატმა მე ცხოვრება დამინგრია, გვარი იმიტომ შევიცვალე, მრევლს ზურგი არ შეექციათ. (მიდის ხატთან პირჯვარს იწერს) უფალო, შენ გევედრები, ისმინე ჩემი ვედრება: დავით მეფეს – ხალხის მხენელსა მიეც ქვეყნად ძლიერება!

### ფარდა

### სურათი X

(თბილისი. მეფის სასახლე)

**მეფე დავითი** – (ზის სელზე, შეუძლოდ არის. მასთან შორიახლო დგას ნიანია) – ჩემო სიყრმის მეგობარო, მადლობელი ვარ მე შენი, საქართველოს ემსახურე, როგორც ვაჟკაცსა შეჰვერის, ჭირში, ლხინში და ბრძოლაში ყველაფერში გვერდში მდგარი, მადლობა ღმერთს, რომ მარგუნა შენისთანა მეგობარი.

**ნიანია** – გმადლობთ დიდად, ეს სიტყვები ჩემთვის არის პატივი

**მეფე დავითი** – დამეთანხმები კარგი ვქენი, რომ ტახტი ღემეტრეს გადავაბარე.

**ნიანია** – კარგი ჰქენი მეფევ.

**მეფე დავითი** – ჩემი ღღენი დათვლილია...

**ნიანია** – აბა რას ბრძანებ მეფეო.

## სიმპარულის ძალა

**მეფე დავითი – დარდი მრჩება მე ამ ქვეყნად, რომელსაც ვერ ავისრულებ დედისიმედი ვერ ვნახე – სად არის ნეტავი ახლა... – ცოტა ხნით მარტო დამტოვე ჩემო ნიანია... (ნიანია გადის, მარტო დარჩენილი მეფე უბიდან ნელი მოძრაობით აღმასის ქვას ამოიღებს, ხელში დაიჭერსდა მას დასცქერის) – ეს აღმასის ქვა მაგონებს ჩემს სიყვარულს – დედისიმედს, ღმერთო წუ მომკლავ მეისე, რომ არ ვნახო იგი ისევ. სიკვდილის პირას მისული მსურს რომ შევავლო კიდევ თვალი. ღმერთო წუ მომკლავ მე ისე, რომ არ ვნახო იგი კიდევ – მსურს, რომ შევავლო მას თვალი...**

**ნიანია** – (შემოჰყავს დედისიმედი) – ჩემო მეფევ – დედისიმედი აქ არის, შენ წინ არი შენი საყვარელი ქალი. (შავოსანი ქალი – იღუმენია მეფესთან მივა, მის წინ მუხლს მოიდრებს და მეფეს თვალებში ჩახედავს, მეფე შეიცნობს და გაოცებული, ოდნავ წინ წამოწეული ნიანიას გადახედავს). – მენდე მეფევ, არ გატყუებს შენი გამჭრიახი თვალი.

**მეფე დავითი – (ახლა დედისიმედს მიაპყრობს მზერასა)** – სულოჩემო! ეს აღმასი ხომ იცანი?

**დედისიმედი – (გაოცებული)** – მეფევ! ეს აღმასი შევიცანი.

**მეფე დავითი – ვატარე მთელი ცხოვრება, შენს სიყვარულს მაგონებდა.**

**დედისიმედი – (გაოცებული განაგრძობს)** – ატარე მთელი ცხოვრება?

**მეფე დავითი – მიყვარდი მთელი ცხოვრება.**

**დედისიმედი – ჩემს სიყვარულს გაგონებდა?**

## თენის ცეცხლაშვილი

მეფე დავითი – მიყვარდი მთელი ცხოვრება!

დედისიმედი – გიყვარდი მთელი ცხოვრება?

**მეფე დავითი — მაპატიე ჩემო დაო, ჩვენი სიყვარული  
საქართველოს რომ შევწირე ტარად!**

**დედისიმები – სწორი ჰქენი – სამშობლო ხომ უკვდავია  
მარად!**

**მეფე დავითი** – ჩვენ მომაკვდავნი ვართ, სამშობლო კი  
უკვდავია მარად. შენი ნახვა გადამექცა მე ოცნებად,  
თვალს არ გუჯერებ შენ რომ გხედავ...

**დედისიმედი – მეფეებ მე ვარ, ჩვენს სიყვარულს წინ აღუდგა  
ყველა, ხელი არავინ დააკლო, მოყვარემ თუ მტერმა.  
ასეისურვა ბედმა, მამის დალატის გამო მეფეებ ვერ  
დავრჩებოდი შენთან!**

**მეფე დავითი – ჩვენს სიყვარულს წინ ადუდგა ყველა, ხელი რვინ დააკლო მოყვრემ თუ მტერმა, ჩვენი სიყვარული მამულს შევწირე. (მეფე ცუდად ხდება).**

**დედისიმედი** – მეფებ სწორად გადავწყვიტე.

**ნიანია** – ცუდად გრძნობს თავს მეფე, გთხოვ დაგეტოვო,  
მაპატიე.

**დედისიმედი** – სანამ კცოცხლობ და ვარსებობ შენთვის  
კილოცებ მეფევ. (გადის. მას ნიანია მიაცილებს)

**მეფე დავითი –** მშვიდობით სულო – ჩემო სიყვარულო...  
(მარტო დარჩენილი მეფე სახეს დაძაბავს, თითქოს  
რადაც შემოესმის, ძლივს დგება, მიდის სარკმელთან,  
გააღებს, მოტრიალდება, კარადიდან ჯაჭვის პერანგს  
აიღებს, ის ხელიდან უვარდება, თუმცა ხმალს

**შემართავს და შესძახებს:** – ჰარაი, საზღვრებს მტერი მოადგა შემოარტყა ალყა, ლაშქარს უხმეთ, ცხენი შემიკაზმეთ ჩქარა! (მეფის ყვირილზე შემოვარდება ნიანია, მას სხვებიც შემოჰყვებიან. ისმიიჭრება მეფესთან, მხარში ამოუდგება) – მტერი ვერ დაგვამარცხებს არა, არა. არა!

**ნიანია –** დამშვიდი მეფე, აქ მტერი არსად არ არი, დამშვიდი, გონს მოეგე, მტერი აქ არსად არის!

**გუნდი –** რა ხდება ჩვენს თავს, რა არის ნეტავ . . .

**გვევ დავითი –** (გონს მოეგება და მიმართავს ირგვლივ მყოფ) – სიკვდილის პირას მისული – მხოლოდ ერთსა გევედრებით, გელათის ტაძრის კარებთან ცხედარი დაკრძალეთ ჩემი, – საქართველო არ გახლის ჩვენი მტრების გასახარად!

**გუნდი –** მეფევ ვფიცავთ, მეფევ ვფიცავთ, მეფევ ვფიცავთ.

**მეფე დავითი –** (ხმალს მაღლა შემართავს) – შემომფიცეო იყოთერთად, საქართველოს უერთგულეთ მარად!

**გუნდი –** ვფიცავთ, ვფიცავთ, ვფიცავთ, ვფიცავთ.

**მეფე დავითი –** (გაითავისუფლებს თავს ნიანიასაგან)

- სიკვდილის არ მეშინია, აპა ღმერთო მეც აქა ვარ! მამულო ჩემო მიმიღე, შვილი ვარ შენი მიწისა, სამშობლოსათვის კვალ კაცნი, ღმერთო შემინდე ცოდვილსა. – „ფეხი დამადგით გულზე ყოველმან, სულის სიმშვიდე ვერა ვპოველმან“. (მეფე წაიბორძისებს, ხმალი გაუვარდება და დაეცემა. ცდილობს ხმალს მიწვდეს, მიწვდება და კვდება. მას ასვენებენ ტახტზე).

**გურანდუხტი –** (მიიჭრება მეფესთან) – აღარა მყავს ქმარი ჩემი, ქვეყნის აღმაშენებელი.

## თმების ცეცხლაშვილი

---

**გუნდი** – მეფე ჩვენი, მეფე ჩვენი . . . . აღმაშენებელი.

**გურანდუხტი** – ჩემი დიდი მეგობარი.

**გუნდი** – ჩვენი მხენელი, ჩვენი მხენელი...

**გურანდუხტი** – დღე გათენდა ჩემთვის ბნელი.

**გუნდი** – მეფე ბრძენი, მეფე ბრძენი.... ობოლ ქრივთა გამკითხავი,  
ხალხთა დიდი მწყალობელი, ქვეყნის აღმაშენებელი...  
ვფიცავთ მეფევ ერთად ვიყოთ მთელი ერი!  
...(**რაინდებს** გამოაქვთ წინ დოოშები, რომელიც  
ჰქონდათ დაშვებული და დებენ ფიცს) –  
გავუფრთხილდეთ ჩვენს მიწა – წყალს და ვადიდოთ  
საქმე შენი, ვფიცავთ მეფევ, არ დავინდოთ მტერი  
ჩვენი! ვფიცავთ მეფევ ერტად ვიყოთ მთელი ერი!

**მემატიანე** – სახელოვანი წინაპრების ქართულო მიწავ  
მადლიერნი ვართ და ვამაყობთ ყოველნი შენით!

**გუნდი** – მადლობელი ვართ და ვამაყოფთ სამშობლოვ შენით!

**მემატიანე** – „სარწმუნოებით, მამულით და ქართულნი ენით!“

**გუნდი** – ქართულო მიწავ, დალოცვილო გფარავდეს დმერთი!

**გათალიკოსი** – (პირჯვარს სწერს შთამომავლობას –  
მაყურებელს) ამინ, ამინ, ამინ!

## ფარდა

# ქუმრაიდი

(ლიბრეტო ორ მოქმედებად, შვიდ სურათად)

**მუშტაიდი** — ირანის შიიტური რელიგიის უმაღლესი სასულიერო პირი, თავრიზელი მირ-ფერტე-აღა-სეიდი.

**ნინო** — ქართველი ტყვე ქალი.

**მუშტაიდის** მამა

**ფატი** — მოსამსახურე

ექიმი

**თავადი** — ნინოს საქმრო — დავითი ექიმი

ყარაჩოღელი

**მოახლე**

**გამყიდველი** — მონებით მოვაჭრე

ვეზირი და სხვები.

## პირველი მოქმედება

### სურათი – I

(სტამბოლი. 19-ე საუკუნის დასაწყისი. ტყვეთა ბაზარი)

**გუშტაიდი** - (მხლებლებთან ერთად გასაყიდ ტყვეებს ათვალიერებს. ერთი ახალგაზრდა ტყვე ქალი მიიპყრობს მის ურადღებას, შეჩერდება და მის პატრონს მიმართავს) – ჩემო ბატონო, რას აფასებ ამ ლამაზ ქალს?

**გამყიდველი** - (მოკრძალებით მიმართავს) - ბატონო ჩემო, მივესალმები თქვენს არჩევანს, მოელ სტამბოლში ვერსად ნახავთ – ახეთ ლამაზმანს.

**გუშტაიდი** – (ტყვე ქალის სილამაზით განციფრებული ოქროთი სავსე ქისას გადასცემს გამყიდველს) – კარგი, აღარ გევაჭრები, მე ვიყიდი ამ ლამაზმანს

**გამყიდველი** – (სიხარულით მიუგებს) - თქვენი სიუხვით ვარ მადლობელი, ალაზი იყოს თქვენი მფარველი, ქალი ზრდილია – კარგი გამგონი, განგებამ არგუნა კარგი პატრონი.

**გუშტაიდი** – (მიუახლოვედება მორცხვად ავდახრილ ტყვე ქალს, ნიკაპზე ნაზად მოპკიდებს ხელს და თავს წამოაწევინებს) – თავი ასწიე ჩემო ლამაზო, დღეიდან აღარა ხარ მონა, მეგობრად მიგულე, სიცოცხლეს მაჩუქებს შენთან გვერდით

## თმების ცეცხლაშვილი

---

დგომა, სახელი მითხარი და ვინ არის შენი მოდგმა.

**ნინო – (მორცხვად პასუხობს)** - ჩემო ბატონო, ნინოს მექანიზმი...

(ისევ თავს დახრის)

**მუშტაიდი – წმინდა ნინო გამიგია – პატივსა ვცემ ქრისტიანულ რელიგიას, – ჩვენი მუჭამედი – ქრისტეს უფროს მმად მიიჩნევდა – შვილი არის ჩვენი ღმერთის – ქადაგებდა, მისი წესით კვლავ იცხოვრებ, ხატსა და ჯვარს გისახსოვრებ, შენ ღმერთს ისევ ემსახურე, მზრუნველობას არ მოგაკლებ, ალაპს ვფიცავ მუშტაიდი სულ დაგიცავს!**

**ნინო – (ამ სიტყვებით გაოგნებულს თვალზე ცრემლი მოაღება) - თქვენი სიკეთით ვარ მადლიერი**

**მუშტაიდი – (სახეზე ცრემლს ამჩნევს) – მოაშორე სახეს ცრემლი.**

**ნინო – მომევლინე, როგორც მხსნელი.**

**მუშტაიდი – ნუღარ სტირი გევედრები.**

**ნინო – სიხარულის მომდის ცრემლი.**

**მუშტაიდი – (მხლებლებს ანიშნებს ნინოს გაყვანას და ნინოც გაპყავთ) – გულო ჩადექ საგულეს – გურჯმა ქალმა დამწვა გული, ამაჩუყა მისმა ცრემლმა. ნუთუ მონა შემიყვარდა, მაპატიოს ჩემმა ღმერთმა. მონა ქალის შეყვარებით, ვიცი ბევრი განმიღება, დღეს ვარ კაცი ბეღნიერი წინ ვერავინ დამიღება! ღმერთი ქვეყნად ერთი არის ალაპს ვფიცავ ასე არის, სიყვარული რომ მარგუნა, ესეც მისი ნება არის!**

**ფარდა**

სურათი II

(სტამბოლი. მუშტაიდის სასახლე. ნინო მარტოა  
ოთახში)

**ნინო – (დამტუხებულია) –** სად არის ნეტავ მუშტაიდი,  
რახანია წასულია, მის შესახებ, არაფერი გამიგია,  
მან მშობელი შემიცვალა, გულადი და კეთილია.  
უშიშარი რაინდია. საქმრო ჩემი დამავიწყა. (შემდეგ  
მივა მუშტაიდის ნაჩუქარ ხატოან – კოცნის,  
კედელზე ჩამოკიდებულ ჯვართან დაიხოქებს)  
- ღმერთო ჩემო. გევედრები, შინ მშვიდობით  
დამიბრუნე, მგონი მივგარს ჩემი მხსნელი...

**მოახლე - (შემოდის განხარებული) - შორი გზიდან  
ალაპმა ბრძანებული გვაახლა!**

**მუშტაიდი** – (ნინო გახარებული წამოვარდება და  
მიეჭრება, მაგრამ თავს მოთოკავს და განზე  
გადგება, მუშტაიდი ლამაზ ფარჩიან ნაჭერს  
მხარზე მოახვევს. შინაგანად აღელვებულია)  
- ნინო, დიდად მომექანირე

*ნინო – (სიხარულს ვერ მაღაგს) – ბევ გიცდიდი დღე და  
ვაძე*

**მუშაობი** – შეუძლოდ ყოფილხარ, მითხვეს.

**ნინო** – უკეთა ვგრძნობ თავსა დღეს მე.

**მუშაობი** – უშენობით ვათენებდი თეთრად ლამეს

**ნინო – შენი ნახვით გავიხარე**

## თმების ცეცხლაშვილი

---

**მუშტაიდი –** შენი ნახვით ცას ვეწიე, შენზე ვფიქრობ დღე და  
დამე ნახვის დღიდან შეგიყვარე, ნინო ცოლად  
გამომყევი, ვერ ავიტან ტანჯვას ამდენს!

**ნინო –** ნახვის დღიდან შეგიყვარე!

**მუშტაიდი –** გამომყევი ნინო ცოლად! ალას ვფიცავ მიბრძანე  
და სადაც მეტყვი, იქ წაგიყვან. ვიცი, გული სახლს  
მიგიწევს, მოგენატრა შენი მიწა. თბილის ქალაქს  
წაგიყვან, იქ ვიყიდით ჩვენთვის ბინას. ორთავენი  
იქ ვიცხოვრებთ, მინდა გული გაგიხარო. შენი ხალხი  
დავიმოყვრო, შენთან ერთად მეც ვიხარო.

**ნინო –** მე შენი ვარ სამუდამოდ. (ერთმანეთს ეხვევიან)

### ფარდა

#### სურათი III

(სტამბოლი. მუშტაიდის სასახლე. მუშტაიდი  
ემზადება საქართველოში გასამგზავრებლად)

**გაგა –** (შემოდის გაბრაზებული) – ეს რა მაბავი გაგიგე,  
ვერ ვიჯერებ, გონს მოეგე ჩემო შვილო, თორემ  
ლემერთი შეგვაჩვენებს! მონა ქალის სიყვარული  
აბა ვისა გაუგია, მით უმეტეს ცოლად შერთვა, -  
მოდგმა ჩვენი აგიგდია. თანაც გურჯისტანში  
მიხვალ, იქ ცხოვრება გიფიქრია, ალას ვფიცავ  
გავგიუდები, ეს ნაბიჯი ვინ გირჩია?!

**მუშტაიდი –** (უსმენს ყურადღებით, მივა, ხელს მოხვევს  
მსარზე და მისთვის დამახასიათებელი  
სიდინჯით მიუგებს) – კარგად მინდა რომ გამიგო,

---

## სიმპარულის ძალა

საქციელი ეს შემიხდო. ჯერ მამა ხარ, მერე კაცი,  
იცი სიყვარულის ფასი.

**გამა** – ის ხომ შვილო, გურჯათა მოდგმის – მითუმეტეს, მონაც  
არის. ალაპი არ გვაპატიებს, ნება მისი დიდი არის!  
მის ხელშია ჩვენი სული. – გონს მოეგე, ჩემო  
შვილო, ნუ მომიკალ მოხუცს გული. ის არ არის  
ჩვენი რჯულის

**შტაიდმური** – რად გავიწყდება იესო ქრისტე შვილია ღვთისა  
და უფროსი ძმაა მუპამედისა, ხოლო ნინო კი  
მიმდევარია ქრისტეს რელიგიისა, სამშობლოდან  
გარიყული ნინო დიდად იტანჯება, ამის გამო  
გადაგწევიტე საქართველოს გამგზავრება, მასთან  
ერთად იქ ცხოვრება. ახლა უნდა მომიტევო, ჩემი  
ნინო მელოდება. (გადის)

**გამა** – (სახოჭარკვეთილია) – როგორ ვიყო მე უშენოდ,  
რისთვის გამიმეტე ნეტავ? დავრჩი ასე მე უმწეოდ,  
რისთვის გამამწარა ღმერთმა. შვილო ბედნიერად  
გველოს, ჩემი თავი შემოგველოს. ებ გრძნობა მე  
განმიცდია, მეც მიყვარდა გურჯის ქალი, - ნეტავ  
ეხლა -ის სად არის?!

## ფარდა

## მეორე მოქმედება

### სურათი IV

(თბილისი რთველის აღებას დღესასწაულობს. მტკვრის სანაპიროზე ხალხმრავლობაა. გაშლილია სახელდახელო სუფრები, ისმის სიმღერის ხმა. სადღაც სიღრმეში ცეკვაა გაჩაღებული, ცალკე ტივებზე ჭიფობენ)

**ნინო** – (გამოჩნდებიან ნინო, მუშტაიდი და მოახლე ქალი. ნინოს სახე გაბადრული აქვს. სიხარულისგან თვალები უბრწყინავს) – რა ლამაზი დღე გათენდა მაისის დახე, როგორ ზემობს ჩვენი თბილისი, შენი დიდი მაღლიერი ვარ, შენ დამიბრუნე ძვირფასო, სიცოცხლის ხალისი.

**ყარახოღელი** – (ნინოს და მუშტაიდის გამოჩენაზე ყარახოღელი თამადა სუფრიდან დგება და მათ სუფრასთან მიიპატიუებს) – ქართველების საამაყო სიძეს ვახლავარ, აქეთ მობრძანდი ჩვენი მუშტაიდ, სუფრა დაგვიმშვერე. აბა, ერთი ჩამოასხი, ვადღეგრძელოდ ჩვენი სიძე! ‘კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა, იქ ილოცე!“ ძმებო ყველამ გაიგონეთ, ყველამ მინდა ეს იცოდეს!.. სიყვარულით ცხოვრობს კაცი... (ყარახოღელის სადღეგრძელოზე სუფრები ერთიანდება, ყველა ერთხმად ადღეგრძელებს მუშტაიდს და ნინოს, როგორც ნეფე-დედოფალს)

**თაგადი** – (სუფრას გამოეყოფა და დაჟინებით ნინოს უყურებს) – თვალებს ჩემსას არ უჯერებ, ნუთუ

---

## სიყვარულის ძალა

ჩემი ნინო არის? ქვეყნის მტრებმა ის მომტაცეს, ქალი ოსმალეთს გაყიდეს, მე ცხოვრება დამინგრიეს, ცოლად შერთვა არ მაცალეს! ეხლა რა ვქნა რა ვიღონო – როგორ დავიბრუნო ნინო, დმერთო ჩემი გევედრები – დამიბრუნე ჩემი ნინო... (გადის, ჩადგება ცეკვა-თამაში, ისმის სიმდერა)

### ფარდა

### სურათი V

(თბილისი. მუშტაიდის სასახლე. ნინო მოახლესთან ერთად ბაღში იმყოფება)

**ნინო** – (გახარებული მოახლის ქალს – ფატის თავის გულის ნადებს უზიარებს) – თავი სიზმარში მგონია. ისევ დავიბადე ქვეყნად. მუშტაიდის სიყვარულმა გააქარწყლა ჩემი სევდა. მისმა დიდმა სიყვარულმა დამაგიწყა მე ობლობა, დაელოცოს მას გამჩენი, და იხაროს მისმა მოდგმაშ. ჩემი გული მან დაიპყრო, შემომხედა მტკიცე ხელი, გულს იარა მომიშურა, მომაშორა სახეს ცრემლი. ჩემო ფატი, მოდი ნახე, როგორ ხარობს ჩემი ვარდი. მარტოა და ალბათ მასაც გულზე აწევს დიდი დარდი. მე აქ უნდა მოვაშონ მომავალში ყვავილნარი. გადახედე როგორ ხარობს და აყვავდა ხეივანი, ღმერთს მადლობა, წელს გვეწება, ფატი, კარგი მოსავალი. მიდი წელი მომიტანე, რათა მოვრწყა ჩემი ვარდი (მოახლე გადის)

**თავადი** – (შემოდის აღელვებული) – ნინო! ჩემო სიყვარელო, შემოგევლოს ჩემი თავი!

## თხების ცეცხლაშვილი

---

**ნინო** – (ყოფილი საქმროს გამოჩენაზე სახტადობა)  
– დავით! რმერთო ჩემო – საიდან სად?

**თაგადი** – სად არ გეძებე, მაგრამ ამაռდ, ვერ მივაგენი შენს კვალს, – რამ გაიძულა, რატომ გაჰყევი მუსლიმანს!

**ნინო** – (ამ დროს ფატი გამოჩნდება და ხეს ამოფარებული ისმენს ყოველივეს – დიდხანს გელოდი, შენგან შველას ველოდი, მაგრამ ამაռდ, მუშტაიდმა ტყველიაში მიშველა მონა ქალს, მტკიცე ხელი შემაშველა, არ უარყო რჯული ჩემი, სამშობლოში დაბაძრუნა, ობლობა არ მაგრძნობინა, გულში სევდა მომიშუშა. ჩემი გული მას ექუთვნის, მისგან პირმშოს ველოდები, ბედი ასე დაგვეწერა. შენ მმასავით შეყვარები!

**თაგადი** – (სასოწარკვეთილია) – არა, არა, ეს რა მესმის! თავბრუ მესხმის. მიწავ გასკდი! – ჩამიტანე, აუტანელმა დროებამ დამინგრია მე ოცნება, სიყვარული ფერფლად მექცა, აღარ მიღირს მე ცხოვრება... (გადის)

**ნინო** – (დამწუხერებული) – დმერთო! კარგი ბედი მიეც! ის ნამდვილი რაინდია, ჩემი სისხლი – ხორცი არის, ჩემი დვიძლი ქართველია... (მოულოდნელად თავს ცუდად იგრძნობს და იქვე მდგომ ხეს მიეყრდნობა) – ვაი-დედა, სული მეხუთება!

**მოახლე** – (სასოწარკვეთილი მიეჭრება) – ქალბატონი რა გემართებათ!

**ნინო** – ფატი, სული მეხუთება! (ამ სიტყვებით ნინო ფატის ხელებში ჩაუვარდება)

**მოახლე** – (გასძახის) – მისველეთ, მიშველეთ...

## ფარდა

## სურათი VI

(თბილისი. მუშტაიდის სასახლე. სარეცელზე  
 მწოლიარე ნინოს ექიმი მაჯისცემას უსინჯავს.  
 შორიახლოს დგას ჩაფიქრებული მუშტაიდი. იქვე  
 საწოლთან მოახლე - ფატი დგას)

**ექიმი** – (ნინოს საწოლზე ხელს დადებს, დგება და  
 მუშტაიდს მიუახლოვდება) – გამაგრდე უნდა,  
 ჩემო ბატონო, ცოტა დრო დარჩა მას სასიცოცხლო.  
 დაღი დაასვა ტანჯულ ცხოვრებამ, ვეღარ გაუძლო  
 ამდენ გოდებას. შენ თავს ითხოვს, მიდი ნახე, –  
 თავი ხელში აიყვანე. (გადის)

**მუშტაიდი** – (მივა ნინოსთან და საწოლზე ჩამოუჯდება)  
 – ნინო, ჩემო საყვარელო, მე აქა ვარ!

**ნინო** – (ცდილობს წამოწევას, მუშტაიდი ხელს  
 შეაშველებს, იქვე მდგომი მოახლევ ეხმარება,  
 ბალიშების საშუალებით ნახევრად  
 წამოაყენებენ) – გული მწყდება, ვერ გიამბე,  
 დავითი იყო ჩემთან.

**მუშტაიდი** – ვიცი ნინო, ვიცი შენი ერთგულება

**ნინო** – ცრემლი სახეს მოაშორე, ბედნიერი მივალ შენგან,  
 შენისთანა კარგი ქმარი, მეგზური და მეგობარი, მე  
 მარგუნა მაღალ დმურთმა. ერთი თხოვნა ამისრულებ,  
 აქ დამკრძალე სასახლესთან, სადაც ხარობს ჩემი  
 ვარდი, მინდა ვიყო მუდამ შენთან, არ ჩაიდო გულში  
 დარდი. ყოველ დილას, ყოველ დამეს, მინდა გლოცო

## თმების ცეცხლაშვილი

---

ჩემო მხენელო, რომ ამქვეყნად დიდხანს იყო, არასოდეს დამივიწყო.

**მუშტაიდი** – (აღელვებული) – არ დამტოვო ნინო მარტო მინდა მუდამ ერთად ვიყოთ! (ნინო ხელებში აკვდება). არა, არა, ჩემო ნინო... რად დამტოვე სიყვარულო... რად გამწირე ჩემო ღმერთო, მითხარ ეხლა როგორ ვიყო...

### ფარდა

## სურათი VII

(თბილისი. მუშტაიდის სასახლის ბაღი. მუშტაიდი ზის ხეივანში მაგიდასთან და რაღაცას წერს)

**მოახლე** – (უახლოვდება) – ჩემო ბატონო, სპარსეთიდან ვეზირი გეახლათ.

**მუშტაიდი** – (თაგს აწევს გაკვირვებული) – სთხოვე საჩქაროდ მოვიდეს (მოახლე გადის)

**გეზირი** – (შემოდის, თაგს დაუკრავს ფეხზე წამომდგარ მუშტაიდს, ისიც ესალმება) – შაპმა – ფირმანი გაახლათ და პასუხესა ელის ოქვენგან. (ფირმანს გადასცემს)

**მუშტაიდი** – (ფირმანს აჩქარებული სსნის და დაჟინებით კითხულობს, მალე თვალები გაუბრწყინდება და სახე გაებადრება ოდნავ) – თვალს არ უჯერებ, - ნუთუ მართლა შემიწყალა

---

## სიყვარულის ძალა

ალაპმა, ჩემს მიწაზე მეღირსება ფეხის დადგმა, ალაპმა ისმინა ჩემი ვეღრება, ამას ვეღოდი მოელი ცხოვრება. (შედის სასახლეში და მალევე გამოდის ნინოს ჯვარი უჭირავს ხელთ. მივა საფლავთან, ჯვარს დაამაგრებს, ერთ პეშვ მიწას პატარა ტომარაში ყრის) – შენთან მიმიმს დაშორება, სამშობლოში მიხმობს შაპი, ჯვარი ნინო შენთან დარჩეს, მე კი შენი ხატი დამრჩეს. მთებს გადაღმა ჩემს მიწაზე, იგი დამწვარ გულს გამითბობს, რათა ხატი შენი ვკოცნო, შენი კოცნა ისევ ვიგრძნო. შენი მიწა მე თან მიმაქს, ჩემს საფლავზე დასაყრელად, აქ მიგიჩენ შენს მშობელ ხალხს, ეპატრონონ საფლავსა და შენ ლამაზ ბაღს... – ვფიცავ ნინო მე შენს საფლავს, ალაპსა და შენს ღმერთს ვფიცავ! (საფლაგზე მდგომ ნინოს ქანდაკებას ხელებს მოხვევს) ერთადერთი იყავ ჩემთვის, ჩემო სულო, ჩემო გულო, ცხოვრებაში დატანჯულო, ნინო ჩემო სიყვარულო. ჩემი გვრიტი გამიფრინდა, მაღლა ცაში ამაღლდა და, – მე სხვა ქალი აღარ მინდა! არ გვაცალა ღმერთმა ერთად ცხოვრება და ნეტარება, ნინო ერთი გადმომხედე, შენი თავი მენატრება. გული ჩემი დაიფერფლა, აღარ მინდა მე ცხოვრება, მე შენს მეტი ჩემო ნინო ქალი აღარ მეყვარება. (შეუძლოდ ხდება, მარცხენა ხელს გულზე იკიდებს, მარვენა ხელით კი ქანდაკებას დაეყრდნობა). ღმერთო ჩემო ეს რა მომდის, გულო ჩადექ საგულესა, გული ასე რათა მიცემს, მგონი რაღაც მემართება... (ხატი ხელიდან უგარდება

## თმების ცეცხლაშვილი

---

და ნინოს საფლავზე მუხლებით ეცემა). –  
ვაი გულო, – ჩემო ნინო, მეც მოვდივარ მგონი  
შენთან... (მუშტაიდის ძახილზე მსახურები  
შემორბიან. მას ფეხზე წამოაყენებენ).

მსახურები – ბატონო – ბატონო, ნუ გეშინიათ...

მუშტაიდი – ნინო ჩემო ნინოო...

### ფარდა

26.02.2004

## სარჩევი

დაპარბლი ალმასი . . . . .	3
პირველი მოქმედება . . . . .	5
მეორე მოქმედება . . . . .	14
მესამე მოქმედება . . . . .	21
გუშტაილი . . . . .	29
პირველი მოქმედება . . . . .	31
მეორე მოქმედება . . . . .	36

რედაქტორი — რეზო მხატვარი  
მხატვარი — ვლადიმერ (ლადო) შერვაშიძე  
კორექტორი — ნანა დიასამიძე  
ოპერატორი — ნაზო ძიმიგური

ფირავი — 100 ცალი



**თებეგიზ ცეცხლა შეიძლება ბოლო  
რამდენიმე თვის მანძილზე მკითხველთა  
სამჯავროზე რამდენიმე საინტერესო  
ნაწარმოები გამოიტანა. წინამდებარე ეს  
წიგნი რიგით მეთორმეტე ნაწარმოებია.  
ლიბრეტო „დაკარგული ალმასში“  
გადმოცემულია მეცე დავით აღმაშენებლის  
ცხოვრების განვითარების გზა და მისი  
უსაზღვრო სიყვარული ბავშვობის მეგობარ  
— დედისიმედზე. ლიბრეტოზე მუსიკა დაწერა  
ბათუმელმა კომპოზიტორმა — ტარიელ  
დარჩია. ამ ოპერის დადგმას აპირებს  
ბათუმის საოპერო სტუდიის დირექტორი**

ქალბატონი მარინე ჯავახეტიაშვილი.

„მუშტაიდში“, „მუშტაიდის ბალის“ დაარსებას სევდიანი და  
რომანტიკული ამბავი უდევს საფუძვლად. ბალის სახელწოდება  
კონკრეტულ ისტორიულ პიროვნებას უკავშირდება, რომელმაც იგი  
მე-19 საუკუნის 30-იან წლებში გააშენა. ეს კაცი ირანის შიიტური  
რელიგიის უმაღლესი სასულიერო პირი, თავრიზელი მირ-ფერებ-  
აღა-სეიდ მუშტაიდი გახლდათ. მას ცოლად პყოლია ულამაზესი  
ქართველი ქალი — ნინო, რომელიც სტამბოლის ტევეთი ბაზარზე  
უყიდია. ირანიდან გახიზულს მისივე თხოვნითვე აურჩევია თბილისი  
საცხოვრებლად. სამშობლოში დაბრუნებულ ნინოს სულ ექვთი თვე  
უცოცხლია. საყვარელი მეუღლე მუშტაიდს სახლის წინ დაუკრძა-  
ლავს და საფლავზე უამრავი წითელი ვარდი დაურგავს. შემდეგ  
მის გარშემო შესანიშნავი ბალი გაუშენებია...

ამ ლიბრეტოთი დაინტერესება საქართველოს სახელმწიფო  
კაპელის დირიჟორი ვახტანგ კახიძე.

თ. ცეცხლაშვილს ახვევ აქვს დაწერილი პიესები: „მეშვიდე  
საბედისწერო“ და „შერივ ხიმშააშვილი“. რაც მის მრავალმხრივი

ავტორმა ახლახან მკითხველს მორიგი წიგნი, ლექსთა კრებული  
— „გულის ნადგბი“ შესთავაზა, რომელიც უკანასკნელი ათი წლის  
მანძილზე შექმნა.

### რედაქტორი რეზო მხატვარი

წიგნი გამოიცა არჩილ ცეცხლაშეიძლის თანადგომით.